

უმადლეის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

11.05.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმადლეის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ლია დლონტი - Erasmus + საქართველოს ეროვნული ოფისის კოორდინატორი

ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ანზორ შარაშენიძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი (რექტორი);

ლელა თვარაძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი (იურიდიული სამსახურის უფროსი);

ზაზა აბულაძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი)

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

მარინა გედევანიშვილი;

ნინო ჩიქოვანი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:06 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - მარინა გედევანიშვილმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა 2 საბაკალავრო პროგრამა (ბიზნეს ადმინისტრირებასა და ინგლისურ ფილოლოგიაში) და ერთი სამაგისტრო პროგრამა (ბიზნეს ადმინისტრირებაში).

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, სემესტრში სალექციო პერიოდი მიმდინარეობს 13 სასწავლო კვირის განმავლობაში, ტარდება ორი შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდები (მზადება და ჩაბარება) და დასკვნითი გამოცდის გადაბარება ტარდება მე-16-მე-20 კვირას;

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის „მოცულობა და კრედიტების განაწილება“ პუნქტის თანახმად, „სემესტრის ხანგრძლივობაა: 15 სასწავლო კვირა (სალექციო პერიოდი), 2 შუალედური შეფასება - VI და XII კვირას და დამატებით 5 სასწავლო კვირა (სასესიო-საკონსულტაციო, საგამოცდო სამუშაოები, დასკვნითი გამოცდის გადაბარება)“. სილაბუსების თანახმად, 15 სასწავლო კვირაში შედის ორი შუალედური გამოცდა (მე-6 და მე-12 კვირას) ხოლო სალექციო პერიოდი 13 კვირას გრძელდება; დასკვნითი გამოცდა/დამატებითი გამოცდა ტარდება არა 5 კვირის, არამედ 4 კვირის განმავლობაში XVI-XX კვირებში; ინფორმაცია სასესიო-საკონსულტაციო საათების შესახებ სილაბუსებში მითითებული არ არის. რაიმე ჩანაწერი ან რეგულაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის განსხვავებული სალექციო პერიოდი და შუალედური გამოცდების ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამებში, არ მოიძებნება არც თავად საგანმანათლებლო პროგრამებში და არც „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, მე-14 მუხლის მე-14.4. პუნქტის თანახმად, „საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (40 სასწავლო კვირა) განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს“). გარდა ამისა, თუ დასკვნითი გამოცდების ჩატარების ვადების მიხედვით ვიმსჯელებთ გამოდის, რომ სტუდენტისთვის, რომელსაც არ სჭირდება დასკვნითი გამოცდის გადაბარება, სემესტრი გრძელდება 18 კვირა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც „სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს მინიმუმ 38 და მაქსიმუმ 45 სასწავლო კვირა;

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, სადაც სასწავლო და დამატებითი გამოცდების ვადები იდენტურად არის დაანგარიშებული, როგორც თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში. მათი განცხადებით, ეს დამკვიდრებული პრაქტიკაა, სტუდენტის საქმიანობა მოიცავს 38-45 კვირას და მათ პროგრამა გათვლილი აქვთ 40 კვირაზე.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების

წინაპირობებში ვკითხულობთ, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩასარიცხად სხვა სავალდებულო საგნებთან ერთად სავალდებულოა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებით განსაზღვრული უცხოური ენებიდან ერთი უცხოური ენის /ინგლისურის/ ჩაბარება.

აქვეა გაწერილი, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში შესაძლოა საერთოდ არ ფლობდნენ ინგლისურ ენას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ინგლისური ენის ფლობის დონე ასეთი მოქალაქეებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ინგლისური ენა-1 -ის შესწავლაც კი (მე-2 სემესტრში), რომლის მიზანია „სტუდენტი დაეუფლოს ინგლისურ ენას B 1.1 დონეზე“;

დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსის განმარტებით, კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების პირობები, უნარების შემოწმება და ასე შემდეგ, აკრედიტაციის სტანდარტებს განეკუთვნება. ექსპერტებმა ვერ შეძლეს ზღვარი გაეგლოთ აკრედიტაციასა და ავტორიზაციას შორის.

ასევე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტად მოიყვანა მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224/ნ ბრძანება, რომლის შესაბამისად მკაცრად არის განსაზღვრული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი. ამას გარდა უმაღლესი სასწავლებელი ამოწმებს უცხო ქვეყნის მოქალაქის მზაობას, რამდენად შეესაბამება მისი ცოდნა პროგრამის მოთხოვნებს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ პროგრამაზე მიღების თაობაზე.

ინგლისური ენის 1, 2, 3, 4 (B2.2 -ს ჩათვლით) სილაბუსებში შუალედური გამოცდა ტარდება მე-8 სასწავლო კვირას და მოიცავს მე-7 კვირის ჩათვლით განვლილ მასალას. საგამოცდო ტესტი მოიცავს 30 კითხვას, რომლიდანაც თითოეულს ენიჭება 1 ქულა. აქვეა მითითებულია, რომ ამ ტესტის მეშვეობით ხდება ოთხივე ენობრივი კომპეტენციის (წერა, კითხვა, მოსმენა და საუბარი), ასევე ლექსიკისა და გრამატიკის შემოწმება, თუმცა დეტალურად არ არის ჩამოთვლილი, რომელი კომპეტენცია როგორ ფასდება, რა კრიტერიუმებით.

იმავე სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები არ გულისხმობენ წერიტი უნარ-ჩვევების შეფასებას (writing), რადგან 40 ქულიდან 20 ქულა დათმობილი აქვს ლექსიკურ-გრამატიკულ ტესტს, 10 ქულა მოსასმენ დავალებებს (აუდირებას) და 10 ზეპირ კომპონენტს, რაც ეწინააღმდეგება სილაბუსის მიზნებსა და შედეგებს, სადაც ნათქვამია, რომ თითოეულ ეტაპზე სტუდენტს უნვითარდება ოთხივე ენობრივი კომპეტენცია (წერა, კითხვა, მოსმენა და საუბარი), გარდა ამისა, აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, სადაც ნათქვამია, რომ „კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად“;

გერმანული ენის 1, 2, 3, 4 სილაბუსების მიზნებში მითითებულია, რომ სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ ენის 4 სავალდებულო კომპეტენციის განვითარებას: წერა, კითხვა, მოსმენა და საუბარი, სხვადასხვა დონეზე. შუალედურ გამოცდაზე სტუდენტს ცოდნის შესაფასებლად ეძლევა 2 თეორიული საკითხი, რომელთაგანაც თითოეული ფასდება 10 ქულით და 10 ტესტური დავალება. ტესტი შედგება 10 დახურული კითხვისგან. თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი, მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული სწორად მონიშნული ტესტი - ფასდება 1 ქულით, თითოეული არასწორად მონიშნული/შეუვსებელი ტესტი - 0 ქულით. ასეთი კრიტერიუმებით შეუძლებელია მოსმენისა და წერიტი უნარ-ჩვევების შეფასება, ვინაიდან დეტალურად არაა ჩაშლილი, თუ როგორ შეიძლება ტესტებითა და თეორიული საკითხებით მოსმენისა და წერიტი უნარ-ჩვევების შეფასება. ასევე დასკვნით გამოცდაზეც, რომელიც კომბინირებულია და შედგება წერიტი და ზეპირი კომპონენტებისაგან. სტუდენტი ზეპირად აბარებს 2 თეორიულ საკითხს, თითოეული მათგანი ფასდება 10 ქულით და ასრულებს ტესტურ დავალებას წერიტი ფორმით. ტესტი შედგება 20 დახურული კითხვისგან. თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი, მათგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი უნდა შემოიხაზოს;

2. ინგლისური ენის ფილოლოგიის პროგრამაში „ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა“ არჩევითი სასწავლო კურსია. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია „სტუდენტს მისცეს ენის სისტემის (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული ასპექტები) თეორიული და პრაქტიკული ცოდნა“. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგში ვკითხულობთ: „საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული აცნობიერებს ენის ისტორიული ცვლილებების, ფონეტიკური, ლექსიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული მოვლენების როლს ენის განვითარებასა და ფუნქციონირებაში“; ასევე, „სტუდენტი დაუფლებულია ფილოლოგიის სავალდებულო ზოგად კომპეტენციებს: ცნობს ენაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს, მის ფონოლოგიურ სტრუქტურასა და ლექსიკურ შედგენილობას. გამოდის, რომ „ინგლისური ენის თეორიულ ფონეტიკას“, როგორც არჩევით სასწავლო კურსს სტუდენტი თუ არ აირჩევს, იგი ვერ მიაღწევს იმ შედეგს, რომელიც პროგრამით არის გათვალისწინებული. სასწავლო კურსის სილაბუსში ვკითხულობთ, რომ „კურსი მიზნად ისახავს ინგლისური ენის საწარმოთქმო ნორმის, ბგერათა და ბგერათ-შეთანხმებების კითხვის წესების, ტრანსკრიფციის, ბგერათა სისტემების, მახვილის, ინტონაციის, პროსოდიული პარამეტრების გაცნობას. წარმოთქმის სწორი ათვისების მიზნით აქცენტი კეთდება ინგლისური საარტიკულაციო ბაზისის თავისებურებებზე, რათა თავიდან ავიცილოთ მშობლიური ენის სამეტყველო ნორმათა შესაძლო ინტერფერენცია“. უდავოა, რომ აღნიშნული საგნის შესწავლა დიდად განაპირობებს კურსდამთავრებულისთვის სწორი მეტყველების ჩამოყალიბებას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სასწავლო კურსის სავალდებულო წესით შესწავლის აუცილებლობაზე;

3. რაც შეეხება „ინგლისური ენის სტილისტიკას“, რომელიც ასევე არის არჩევითი სასწავლო კურსი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში ვკითხულობთ: „საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს გაანალიზოს და დააღაგოს მონაცემები ლექსიკურ-სტილისტიკურად; „კურსდამთავრებულს შეუძლია ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად

სწორად ჩამოაყალიბოს წერილობითი ტექსტი, თხრობითი და მოვლენათა განვითარების ახსნა-განმარტებითი სახის წერილისა თუ სხვა ნაშრომის დაწერა, რომელიც გამყარებულია კონკრეტული მოსაზრების მხარდაჭერით/კრიტიკით და გააჩნია არგუმენტირებული დასკვნები და სტრუქტურულად და სტილისტურად შეესაბამება სტანდარტებს; გარდა ამისა, ინგლისური ენის ფილოლოგს უნდა შეეძლოს სტილისტურად განსხვავებულ ტექსტში ძირითადი აზრის, იდეის, მარტივად და სრულყოფილად გამოხატვა და უნდა ჰქონდეს სტილისტურად გამართული აზროვნების უნარ-ჩვევები. ის უნდა იცნობდეს სალიტერატურო და ავთენტური სტილისტური ნორმის კანონზომიერებებს, სტანდარტული ინგლისურისა და ამერიკული ინგლისურის განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს, რაც დეტალურად არის აღწერილი კურსის მიზნებსა და შედეგებში; ცხადია, სტუდენტი, რომელიც „ინგლისური ენის სტილისტიკას“ არ აირჩევას, ვერ მიაღწევს ამ კონკრეტულ შედეგებს;

4. დაწესებულებაში არსებობს სილაბუსის ორი ფორმა, ერთი, რომლის მიხედვითაც სასწავლო გეგმაში ყოველკვირეული თემების გასწვრივ მითითებულია სავალდებულო ლიტერატურა (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში: ანტიკრიზისული მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, კალკულუსი-1, კალკულუსი-2, ოპერაციული მენეჯმენტი და ა.შ.) ხოლო მეორე ფორმა, რომელშიც ყოველკვირეული თემების გასწვრივ სავალდებულო ლიტერატურა მითითებული არ არის (იმავე პროგრამაში მაგ. აკადემიური წერა, მეტყველების კულტურა, ინგლისური 1,2,3,4,5 და ა.შ.). რაც შეეხება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებს, გამოიყენება სილაბუსის მეორე ვარიანტი, ანუ, ის, რომელშიც ყოველკვირეული თემების გასწვრივ სავალდებულო ლიტერატურა მითითებული არ არის. ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი სილაბუსის ორგვარი ფორმის დამტკიცების შესახებ (წარმოდგენილ იქნა სილაბუსის მხოლოდ ერთი, დამტკიცებული ფორმა). ამ ორი ფორმისგან განსხვავებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კიდევ ერთი სასწავლო კურსის, „გლობალური ბიზნესის“ სილაბუსიც (ავტორი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, მოწვეული სპეციალისტი ვახტანგ ანთია);

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსის ფორმები შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აღნიშნული ფორმა ატარებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს, სადაც მასში შემავალი ძირითადი კომპონენტებია მითითებული. შესაბამისად პედაგოგი იტოვებს თავისუფლებას, მისცეს საკუთარ სილაბუსს კონკრეტული სახე.

როგორც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებიდან ირკვევა, პროფესორი ეკონომიკის სპეციალობით ლელა მენაბდიშვილი, ასოცირებული პროფესორი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ნინო ჩიკვილაძე და ასისტენტ-პროფესორი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ნონა ქავთარაძე, არ კითხულობენ არცერთ სასწავლო კურსს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, მაშინ, როცა ასისტენტ-პროფესორი მაია კაპანაძე ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში კითხულობს 7 (შვიდ), სპეციფიკით ერთმანეთისგან განსხვავებულ სასწავლო კურსს (მიკროეკონომიკის საფუძვლები, მაკროეკონომიკის საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, ფინანსების საფუძვლები, საბანკო საქმე, სადაზღვევო საქმე, ფინანსური მენეჯმენტი), ასევე ასოცირებული პროფესორი სოფიო ბლიაძე 7 (შვიდ) სასწავლო კურსს (ბუღალტერიის საფუძვლები, მცირე ბიზნესის საფუძვლები, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ფინანსური ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში, ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის დაწესებულებებში);

დაწესებულების წარმომადგენლებმა ამ შემთხვევაში ყურადღება გაამახვილეს იმ პროფესორის კვალიფიკაციაზე, რომელიც 7 საგანს წაიკითხავს, თუმცა ექსპერტებმა განმარტეს, რომ დასკვნის ეს ნაწილი ეხება მხოლოდ და მხოლოდ კურსების არასწორ გადანაწილებას, რადგან სამი პროფესორი რჩება დაუსაქმებელი.

სილაბუსის „საჯარო ადმინისტრირების საფუძვლები“ ავტორად და სილაბუსის „ბიზნესის სამართალი“ თანაავტორად მოხსენიებულია ასოცირებული პროფესორი რევაზ ცინცაძე, რომელიც 2014 წლის დეკემბრის თვეში გათავისუფლებულია აკადემიური თანამდებობიდან და ვიზიტის მომენტისთვის აღარ იყო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სილაბუსების უმრავლესობაში არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობებიც, კერძოდ, სილაბუსებში მაკროეკონომიკის საფუძვლები, ეკონომიკური სტატისტიკა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი და ა.შ. არის ორი გრაფა: „სწავლების მეთოდები“ და „სწავლებისა და სწავლის მეთოდები“. რეალურად, გრაფაში „სწავლების მეთოდები“ აღწერილია სწავლების ფორმები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა);

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლებისა და სწავლის სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, დეტალურად არ არის აღწერილი ვერბალური და წერიტი მუშაობისა და წიგნის დამუშავების მეთოდების არსი;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (მუხლი 13) იკითხება, რომ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, მასზე არ ირიცხებიან სტუდენტები, ან სასწავლო უნივერსიტეტს არ გააჩნია მისი განხორციელების კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილება (ავტორიზაცია ან/და აკრედიტაცია);

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს რექტორი. გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია: გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია მიღევად რეჟიმშია, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე.

აღნიშნული ჩანაწერები წინააღმდეგობაშია კანონმდებლობასთან (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 56⁴ პუნქტი 3.ბ), რომლის მიხედვითაც: „ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ მობილობის უფლებით.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, გაუქმების გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს რექტორი და ვერც გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მისცემს მიმდინარე საფეხურის (ბაკალავრიატის/მაგისტრატურის) დასრულების საშუალებას. ამგვარად, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ჩანაწერი (პუნქტი 13.2) მოითხოვს ცალკეული შემთხვევების დაკონკრეტებას.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყველა საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული საქმიანობის სათანადო გამოცდილება, თუმცა ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია: საავტორიზაციო

ვიზიტის ფარგლებში შეამოწმოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს პერსონალისა და სტუდენტების ინტერვიუება. ვინაიდან უნივერსიტეტში არ სწავლობენ სტუდენტები, ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუება ჩაატარა აკადემიურ პერსონალთან.

ინტერვიუებაზე აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი 22 პროფესორიდან გამოცხადდა 10 და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, მოწვეული სპეციალისტი, ვახტანგ ანთია.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროფესორთა უმრავლესობამ ვერ დაასახელა ის სასწავლო კურსები, რომელთა სილაბუსებშიც მითითებულია მათი გვარი, როგორც სილაბუსის ავტორების და რომელთა წაკითხვაც მათ მოუწევთ პროგრამის განხორციელებისას. ზოგიერთმა მათგანმა ვერ უპასუხა კითხვას, რა კომპონენტებისგან შედგება სილაბუსი, არ ახსოვდათ გაწერეს თუ არა სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი, ზოგიერთმა ვერ გაიხსენა ის სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც მითითებულია მათი ავტორობით შედგენილ სილაბუსებში. რაც შეეხება სწავლა-სწავლების მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს, პროფესორთა განმარტებით ისინი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ უკვე გამზადებული სახით დაურიგდათ სილაბუსებში განსათავსებლად.


ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელის განმარტებით, ეს პროგრამები სასწავლო უნივერსიტეტში ადრეც არსებობდა, მან მხოლოდ კორექტივები შეიტანა მათში. რაც შეეხება სილაბუსებს, ისინი მას არ წაუკითხავს, რადგან მათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამოწმებდა.

პროფესორთა პირადი მონაცემების შესწავლისას გაირკვა, რომ მათი კვალიფიკაცია ზოგადად კი შესაბამეა იმ მიმართულებებს, რომლებშიც მათ აკადემიური თანამდებობა დაიკავეს, მაგრამ ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, რთულად დასადგენია ფლობს თუ არა ესა თუ ის პროფესორი კონკრეტული სასწავლო კურსის წაკითხვის, თუნდაც პრაქტიკულ გამოცდილებას.

მაგალითად:

1. როგორც პირადი მონაცემებიდან ირკვევა, ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის სპეციალობით, ნატალია ჭანტურია ძირითადად დემოგრაფიის საკითხებზე მუშაობს და 2000-2006 წლებში ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დემოგრაფიის მასწავლებლად მუშაობდა. მას ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს ორი სამეცნიერო შრომა გენდერულ პრობლემებსა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში იგი კითხულობს სასწავლო კურსებს: „პროექტების მართვა“; „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის საფუძვლები“, „ფინანსური ბაზრები“, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში კი სასწავლო კურსს „საერთაშორისო ლოგისტიკა“; „მდგრადი განვითარება და ეკონომიკური უსაფრთხოება“. პროფესორის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების დროს, აუცილებელია პროფესორის კვალიფიკაცია კონკრეტულ დარგში /სპეციალობაში გამოქვეყნებული შრომებით თუ არა, სასწავლო კურსების წაკითხვის პრაქტიკული გამოცდილებით მაინც დასტურდებოდეს;

2. მათემატიკის სპეციალობით აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსით არჩეული ასოცირებული პროფესორის ზურაბ ჭუმბურიძის ანკეტით არ დასტურდება მის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომების არსებობა, რაც კონკურსში გამარჯვების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა იყო. მის მიერ ანკეტაში მითითებულია სამი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომლიდანაც ერთი 1999 ხოლო მეორე 2000 წელსაა გამოქვეყნებული. რაც შეეხება მესამე პუბლიკაციას, მასზე თარიღი არ არის მითითებული.



დასკვნის ამ ნაწილში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, ლია ლლონტა აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

მათი განმარტებით, ნატალია ჭანტურიას შემთხვევაში აქცენტი გაკეთდა 2006 წლამდე მისი დემოგრაფიის კათედრაზე მუშაობის პერიოდზე, რის შემდეგაც ის აქტიურად მუშაობდა მარკეტინგის სფეროში, გამოქვეყნებული აქვს ოცდაოთხზე მეტი სტატია, მონაწილეობდა კონფერენციებში და გამოცემული აქვს სახელმძღვანელო ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

დაწესებულებამ 2014 წლის აგვისტოში ჩაატარა აკადემიური პერსონალის მისაღები კონკურსი. განმეორებითი კონკურსი ჩატარდა 2015 წლის იანვარში. თუმცა რადგან აკადემიური პერსონალი აქტიურად ჩართული არ არის სწავლებაში, გაუქმებული ავტორიზაციისა და შესაბამისად ანაზღაურების უქონლობის გამო, არ შეიძლება მათ მოეთხოვოს თავიანთი სილაბუსების ზედმიწევნით ცოდნა.

2. მატერიალური რესურსი

დაწესებულებას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი. შენობა ზოგადად გარემონტებულია, თუმცა სარემონტო სამუშაოები დასასრულებელია.

სასწავლო პროცესის წარმართვისთვის განკუთვნილი ფართები ორივე მისამართზე აღჭურვილია ორადგილიანი და ოთხადგილიანი მერხებითა და შესაბამისი სკამებით (ზოგადად 1000 ადგილამდე), დაფებით, მათ შორის რუსთავის გზატკეცილზე N18-22-ში დაწესებულებას აქვს 824 მერხი თავისი სკამით, ასევე 35 ერთეული კომპიუტერი და 1 ერთეული - პერსონალური კომპიუტერი, მათგან 26 ერთეული განთავსებულია I სართულზე არსებულ კომპიუტერულ კლასში, 5 - ერთეული ბიბლიოთეკაში, ხოლო დანარჩენი ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის განკუთვნილ ოთახებში. სულხან ცინცაძის #24 - ში სასწავლო ოთახებში განთავსებულია 230 მერხი თავისი სკამებით.

ინვენტარის ფლობა დასტურდება შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტაციითა და შპს - აუდიტორული ფირმა „ორბის“ მიერ შესრულებული „მატერიალური ფასეულობების აუდიტის და შეფასების ანგარიშით“.

დაწესებულების სასწავლო ფართი ზოგადად გარემონტებულია, თუმცა მცირე ელემენტები დაუსრულებელია. ფართი უზრუნველყოფილია ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემით (დაწესებულებაში არსებობს გენერატორი), სველი წერტილები განლაგებულია დაწესებულების ყველა სართულზე. ყველა ოთახში არსებობს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

დაწესებულების წიგნადი ფონდი შეადგენს დაახლოებით 21260 ერთეულს. სასწავლო უნივერსიტეტის წიგნადი საბიბლიოთეკო ფონდი როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. საბიბლიოთეკო ფონდის შესაბამისობა აკადემიური პროგრამების სასწავლო კურსის სილაბუსებთან გადამოწმდა შემთხვევითი შერჩევის წესით (თითოეულ პროგრამაზე). გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის და ხელმისაწვდომია როგორც პროფესორ-მასწავლებელთათვის, ასევე სტუდენტებისთვის (ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში).

აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ საჭირო იქნება ლიტერატურის განახლება, იმდენად, რამდენადაც, ზოგიერთი სახელმძღვანელო უკვე მოძველებულია და არსებობს მათი ბოლო წლების გამოცემები (მაგალითად, რ. კაკულია „ფინანსების თეორია“-2007 წლის; ზ. ლუდუშაური „ფინანსური მენეჯმენტი, თეორია, პრაქტიკა“-2007 წლის; ე. ხარაბაძე „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“-2006 წლის; ი. მესხია, დ. ჯალაღონია „ბუღალტრული აღრიცხვა“-2006 წლის; მ. გოგოხია „საბანკო საქმე“-2006 წლის; ბურდული „ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები“-2000 წლის; ჯავახიშვილი,

ოქრუაშვილი, ხარაზიშვილი „მარკეტინგის საფუძვლები“ -2005 წლის; „შრომის ეკონომიკა“ ლაცაბიძის რედაქციით, 2004 წლის; ურიდია „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები“-2011 წლის). დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან“. ხელშეკრულების ფარგლებში მას წვდომა აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსებზე.

დაწესებულების ვებგვერდზე (www.tdasu.edu.ge) განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: უნივერსიტეტის მისია, სტრუქტურა, ზოგადი დებულება და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ; შიდა მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები: სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, ბიბლიოთეკის და სხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური კოდის მეშვეობით. ვიზიტის დროს საგანმანათლებლო პროგრამებზე წვდომა შეზღუდული იყო და ადმინისტრაციის დახმარებით მოხდა მათი გადამოწმება.

ვებ-გვერდს აქვს ინგლისურენოვანი ვერსიაც, თუმცა მასზე არსებული ინფორმაცია არ არის ქართული ვერსიის სრული ანალოგი (დევს მისია, ინფორმაცია რექტორის შესახებ, არ დევს პროგრამები, სტრუქტურა, დებულებები და ა.შ.). ქართულ და ინგლისურ ვერსიებზეც დევს უცხოელი პარტნიორების ჩამონათვალი.

ინფორმაციის განახლება ზოგადად ფიქსირდება, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

3. ადამიანური რესურსი


უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესს უძღვება აკადემიური პერსონალი, აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნულნი არიან კონკურსის წესით შერჩეული, სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო -პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები.

გარდა აკადემიური პერსონალისა, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მოწვეულნი არიან შესამაბისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომელთაც ასევე აქვთ აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური გამოცდილება.

დაწესებულებაში არ იძებნება რაიმე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს „მოწვეული სპეციალისტის“ სამსახურში აყვანის კონკრეტულ წესს.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში გადამოწმებით გაირკვა შემდეგი:

1. ასოცირებული პროფესორი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით თამარ ბერიძე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იმყოფება: სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტში სეუ;
2. პროფესორი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალიზაციით ეთერ მგალობლიშვილი პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზეა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის ბ)



პუნქტის თანახმად, "ავტორიზაციის მიზნებისთვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს, მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტს, ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს, პროფესორის არჩევით; ხოლო ასოცირებული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით".

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა იყო ყველაზე თვალშისაცემი ხარვეზი ექსპერტთა ჯგუფის აზრით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მათივე სილაბუსებში შემადგენელი კომპონენტების არცოდნა არსებითი სახის ხარვეზია.

საბჭოს წევრმა ლია ლლონტმა დასვა ასევე შეკითხვა სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც მთლიანად ამოღებულია პროგრამების ჩამონათვალიდან.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ამასთან დაკავშირებით განმარტეს, რომ ისინი სამედიცინო სასწავლო პროგრამების მომავალში დამატებას გეგმავენ, აკრედიტაციის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენლება სხდომის ბოლოს წარმოადგინეს პრეზენტაცია, სადაც ასევე აქცენტი გაკეთდა პარტნიორ უნივერსიტეტზე. თუმცა აღნიშნული უნივერსიტეტების ვებგვერდზე არსად არ იყო მითითებული თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, როგორც ერთ-ერთი პარტნიორი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ეს ყველაფერი უკავშირდება გაუქმებულ ავტორიზაციას, შესაბამისად ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემა ავტომატურად მოგვარდება.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:38 საათზე.

სხდომა განახლდა 19:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 950-ით, განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 3

წინააღმდეგი- 2

ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირეს შემდეგმა წევრებმა: ირინა ხანთძე, ლია ლლონტი.


გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204393717) 2015 წლის 11 მაისიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 950-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა ხანთაძემ განმარტა, რომ საჭიროა დაწესებულებაში განხორციელდეს მონიტორინგი, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მითითებულ არსებით ხარვეზებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 20:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე



მდივანი
ლიკა ქათამაძე

